წელიწადი I-ლი

ხუთშაბათი 2 დეკემბერი

ფასი 15 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათომის ფურცელი

გაზეთი ღირს თვიურად

განცხადების ფასი:

1 გვერდზე პეტიტით სტრიქონი . . . 20 მან.
4 „ „ „ . . . 15 მან.

სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმებით.

ხელმოუწერ წერილებს რედაქცია არ მოთავსებს და მათ შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იკისრებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთათ.

რედაქტორის ნახვა დრ. შეიძლება მარინეს პროსპექტზეთ № 13 დილის 11 საათ. 2 საათამდის. სარედაქციო კოლეგიის მდივანის ნახვა შეიძლება შმაველის სტადიაში 10 საათ. საღ. 3ს.

№ 70 ეოგველ-დღიური დემოკრატიული ორგანო № 70

ელექტრო თეატრი „ა ბ ო ლ ლ ო“

ნ. დ. ბრუგვალ-სხირტლაძის

სამშაბათიდან 30 ნოემბრიდან დაიწყება

კინო-რომანის ჩვენება

ნიღაბი

თეთრი კბილებით

16 ეპიზოდი—32 ნაწ.

5მთავარ როლს ასრულებს

ცნობილი პირლ-უაიტი

სერია. 7-ბე ეპიზოდი—9 მოშხამული ისარი—10 მიცვალ. აჩრდილი.

გამარჯვების დღესასწაული სანახავობა

ანონსი: შაბათს, 4 დეკემბერს—6 სერია ნიღაბი თეთრი კბილებით.

ელექტრო-თეატრი „ბ ო ი ა უ მ ფ ი“

თეატრი მოწყობილია საზამთროთ

ამერიკული სისტემით, მყუდრო და თბილათ.

ხუთშაბათიდან, 1920 წ. 2 დეკემბერს

სალამო სიცილი და დროსტარება.

მონაწილეობას ღებულობს მაკს-ლინდერი,

მაკს-ლინდერი მ ო ნ ა ს ტ ე რ შ ი

II.

ასეთი ცხოვრება

ანონსი: ხუთშაბათიდან დეკემბრიდან სურათების ახალი გამოცვლა.

საკომისიო მაღაზია

„ამხ. სოიუზი“

(მიხაილოვის 7 15 ლორის.-მელიქ. ქ. კუთხ.)

ეიდულობს და იღებს საკომისიოდ

ძვირფას ნივთებს, ბრილიანტებს და სხვა.

გემი „პალაცკი“

მოვიდა 29 ნოემბერს და გავა ხუთშაბათს 2 დეკემბერს დღის 4 საათზე ვენეციაში და გაივლის ნავთსადგურებს ანატოლიისას, ბრინდიზისას და ტრიესტისას.

მიიღებს მგზავრებს 1, 2, 3 კლას. და ბარგს

ცნობების მიღება შეიძლება ტრიესტინოს საზ. სომხ. მოსახლეობაში № 4.

განსაკუთრებულ მმართველობაში.

განსაკუთრებულმა რწმუნებულმა ნება დართო ბერძენ ეამოქცეულთა-თვის მზრუნველ ბერძნულ მისიას გემ „კოსტანტინეთი“ გაიყვანონ ქ ბათომიდან ამავე გამოქცეულთა კუთვნილი 1000-მდე სული რქიანი საქონელი.

ამავე დროს ბ-მა რწმუნებულმა კატეგორიული წინადადება მისცა ბერძნულ მისიას, რომ მიიღონ ენერგიული ზომები აღტანელ მდგომარეობაში მყოფ ბერძნის გამოქცეულთა საჩქაროდ აქედან გასაყვანად,

— ნოემბრის 30 ბათომში მოელოდენ საფრანგეთის უმაღლეს კომისარს ამიერ-კავკასიაში ბ-ნ შევალიეს, განსაკუთრებულმა რწმუნებულმა ბრძანება გასცა ბ-ნ შევალიეს შეხვედროდენ საპატიო ყარაულით და გააგზავნია მისთვის ავტომობილი, მაგრამ შევალიე ამ დღეს არ მოსულა.

— საგანგებო წრმუნებული თანამდებობის პირთ იღებს შემდეგის წესით: ყოველდღე დილის 9 ს—10 საათ.—მილიციის უფროსი, განსაკუთრებული განყოფილების უფროსი, ციხის უფროსი, განსაკ რაზმის უფროსი და რკინის გზის მილიციის უფროსი.

ორშაბათობით 10—12 საათამდი—ბათომის ციხე-სიმაგრეთა უფროსს მოხსენებანი ათვის, საინჟერო სამმართველოს უფროსს, ჯარის ნაწილების წარმომადგენლებს.

სამშაბათობით—მოხსენება საგზაო და საფოსტო-სატელეგრაფო საქმეებზე

ოთხშაბათობით—სასურსათო, საქონიო—სასანიტარო და საბეითლო საქმეებზე.

ხუთშაბათობით—მოხსენებანი საზოსწავლო, საბაჟოს და სასაზართლოს უწყებათა წარმომადგენლების.

პარასკეობით—მოხსენებანი ქალაქისა და საერობო დაწესებულებათა წარმომადგენლების.

შაბათობით—მოხსენებანი ოლქის თანამდებობის პირთა, რომლებიც სასწრაფო შემთხვევებში მიიღებიან რიგს გარეშე.

— მთავრობის საგანგებო რწმუნებულმა ნება დართო ფრონტის კომიტეტის წარმომადგენელს მოაწყოს ბათომში ლოტო, რომლის შემოსავალი მოხმარდება ჯარის საჭიროებას. ლოტო ღია იქნება საღამოს 7 საათიდან 11 საათამდი.

— მთავრობის საგანგებო რწმუნებულის განკარგულებით განთავისუფლებული იქნა ციხიდან ეფენდი ბუხარ-ოღლი, ხემბერ რეჯი, იოსებ ლაზ-ოღლი.

— მთავრობის საგანგებო რწმუნებულმა წინადადება მისცა გზათა სამმართველოს უფროს შეუდგეს ხიდების შეკეთებას ბათომ—არდაგანის გზაზე.

ბათომი, 2 დეკემბერი.

გაზ. „ბოსფორმა“ ჩვეულებად გაიხადა საქართველოს შესახებ ინსინუაციების თავის ფურცლებზე მოთავსება. დღე არ გავა ისე, რომ ფრანგთა ამ „დამოუკიდებელმა ბეჭდვითი ორგანომ საქართველოს შესახებ, რაიმე უცნაურობა არ შეთხზას. ქემალ ფაშას მთავრობას თურმე მოითხოვნილება წარუდგენია საქართველოსთვის რომ მთელ საქართველოს რკინის გზაზე ოსმალთა კონტროლი დაწესდესო.

და ეს ცნობა გაზეთისთვის, მიუწოდებია ბათომელ „საგანგებო კორეspondენტ“ს“.

ასე გასინჯეთ ეს „საგანგებო ! ენსაციონისტი, და ლიტერატურული სპეკულიანტი ეურმე ჩვენს წინ ოფილა შეტ-ლებული!..

ეს ასე ხდება და ჩვენ გვმართებს ამის წინააღმდეგ მიზან შენასკვი ზომები მივიღოთ, ჩვენ დიპლომატიურ წარმომადგენლობას და თუ ასეთი სტამბულში არ, არის საკონსულოს კი უნდა ქონდეს იმდენი უნარი და მარიფათი, რომ ასეთ ინსინუაციას ებრძოლოს.

უცხოეთში ჩვენ მისიებს თუ საკონსულოებს უნდა ქონდეთ მოწყობილი საინფორმაციო განყოფილება და იქაურ პრესას აწვდიდენ სისტემატიურად სწორ ინფორმაციას საქართველოს შესახებ.

თუ დღემდის ამის ინიციატივა მისიებმა და საკონსულოებმა ვერ გამოიჩინა, ეს უნდა ქნას დაუყონებლივ საგარეო საქმეთა სამინისტრომ უნდა ითქვას მართალი, რომ ეს ამდენ ხანაც, უნდა გაკეთებულიყო და ასეთი შეცდომები ქართველ დაუდევართა გარდა არავის მიეტოვება.

დაე ახლა მაინც ვიფხიზლოთ და ჩვენ რესპუბლიკის შესახებ ნუ გავავრცელებიებთ ყოველ მოსყიდულს ზღაპრებს და ლეგენდებს, ფეტიოსიოცხლე და სისტემა ინფორმაციის დარგში.

მთავრობა საზოგადოება და პრესა ამ გარემოებას სათანადო ყურადღებით უნდა შეხვდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საკუთარი ინფორმაცია უნდა ქონდეს ყველგან.

მოსყიდული სპეკულიანტი ჟურნალისტებით უთუოდ სცილობენ საშიში ხმები გავრცელდეს ევროპაში ჩვენს შესახებ, ეს საქართველოს მტრებისთვის არის საინტერესო, მაგრამ ჩვენ მას ამით საშკალება უნდა მოუსპოთ.

აზერბეიჯანი და ჩვენ.

საბჭოთა აზერბაიჯანთან დამოკიდებულება ნორმალური ხდება. ბაქოდან ნავთით უკვე მოვიდა საქართველოში.

როგორიც არ უნდა იყოს ჩვენს გარშემო პოლიტიკური სიტუაცია და ვინ რასაც არ უნდა ფიქრობდეს ამიერკავკასიის ერებმა ერთი რამ უნდა ჩავთვალოთ აქსიომად — ჩვენ უნდა დავიმკვიდროთ ურთიერთში ერთმანეთისადმი ნდობიდან წარმომდგარი მეზობლობა და სამშვიდობო განწყობილება.

ჩვენ უნდა ვერიდოთ გარეშე ძალთა ამიერ კავკასიის ცხოვრებაში ჩარევას. საკუთარი დამოუკიდებლობა უნდა გაიხადოს ყველა ერმა მიზანმისწრაფებათ. ცნობილია, რომ თუ ჩვენ ეზობლებს ოჯახში არევ-დარევა და აგრესიობა დაგვჩემდა, ამით გარეშე მტერი მოიგებს. საქართველო მთელ ამიერკავკასიის ხალხს ეძახოდა მჭიდრო კავშირისკენ, მაგრამ რუსეთის გახრწნაში, თუ საერთაშორისო პირობების ზეგავლენით ეს მრწამსი არ იქნა მიღწეული.

მწარე განცდათა შემდგომ ამიერკავკასიის ერები უთუოდ შეისმენენ ქართველი დემოკრატიის მოწოდებას და ისინი დაადგებიან ამიერკავკასიის ერთა სოლიდარობის გზაზე, ეროვნულ თვითმყოფობის დაცვით, ამ ჟამად გვიხარის აზერბაიჯანთან მორიგება, დაე წაიმალოს გუშინდელი სიშახინჯე და ჩვენს შორის ეამყარდეს ნორმალური მეზობლობა.

საქართველო ევროპის გზაა, როგორიც მეტად სჭირია ბაქოს. ბაქოს ნავთ-მრეწველობას ხავსი მოედებოდა უბათუმოდ, ბაქოს ნავთის საქაჩი ძილი ახლა მხოლოდ საქართველოთი უერთდება დასავლეთ ევროპას.

აზერბეიჯანის ნიგთიერი განვითარება საგრძნობლად არის დამოკიდებული საქართველოზე და ასევე სახელმწიფოთ უაღრესად სჭირია ერთმანეთში კეთილ მეზობლურ განწყობილების დაცვა.

საქართველოს ამიერ-კავკასიის არც ერთ ერისადმი აგრესიობა არ ასულდგმულებს.

ეს უნდა იწამონ ჩვენმა მეზობლებმა და ერიდონ ამიერ-კავკასიის მშვიდობიანობის დარღვევას, რომლითაც მხოლოდ გარეშე მტერმა უნდა ისარგებლოს

საქართველოს დემოკრატია ამიერკავკასიის ერებს ისევ მეგობრობისკენ და ერთობისკენ ეძახის.

ი. ჯ.-ლი.

ვრცელ ა.

„საქართველო“ კიაზიმ—ბეის მისიის შესახებ სწერს:

„ოსმალ-პატრიოტების მორიგ საქმეთ და უპირველეს მიზნად უნდა იყოს დასახული ეკონომიური ძალების განვითარება, კულტურული შუშაობა და საერთო ნორმალური მოქალაქეობრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების განმტკიცება. არ გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ ეს მომენტი გათვალისწინებული არ ჰქონდეს ანგორის მთავრობას და რომ იგი არ სცილობდეს საქმის მშვიდობიანად მოგვარებას იქ, სადაც ეს შესაძლებელია. უნდა ვიფიქროთ აგრეთვე, რომ სწორედ ამ მიზნით, ანგორის მთავრობა თავს დააღწევს იმ გადაჭარბებულ პრეტენზიების ტირანიას, რომელსაც საქართველოს მიმართ ყოველთვის ჩადიოდენ ოსმალეთის პოლიტიკის ხელმძღვანელნი.

მეორეს მხრით, ის ქვეყანა, რომელთანაც ანგორამ თავისი წარმომადგენელი წარმოგზავნა და რომელთანაც მას ნორმალური ურთიერთობის დაჭერა განუზრახავს. ეს ქვეყანა, ერთგული თავისი ძველი ძველი ტრადიციისა, კეთილ მეზობლობის და მშვიდობიანობის პოლიტიკას ადგია თავის დღეში საქართველო არ იქნება იმ მხარეთ, რომელიც პირველად აკრესიულ პოლიტიკას დაადგება. ქიაზიმ ბეი ამ მოკლე ხნის განმავლობაშიაც ვაეცნობოდ. და საქართველოს ოფიციალი წრეებისა. და მთელი ქართველი ხალხის აზრს საქართველოს იმ კუთხეებს შესახებ, რომელზედაც საზოგადოდ ცხადდება ოსმალეთის პრეტენზია, გაიგებდა, რომ ამ საკითხზე მთელი ქვეყანა ერთი აზრისაა, ერთი გადაწყვეტილებს, რომ ესკუთხეები საქართველოს შეულეველი მემკვიდრეობაა ეს არის ბაზა ჩვენი და ოსმალეთის მეგობრობის განმტკიცებისა მომავალში. თუ ქიაზიმ ბეი ჯეროვანად დააფასებს ამ მომენტს საქართველოს სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებისას და ამას შეხედავს ცოტა შორეული და მაღალი პოლიტიკის პერსპექტივით, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ იგი თავის მარწმუნებელი ანგორის მთავრობას გაუადვილებს დასახული დიდი ეროვნული მიზნის განხორციელებას; იგი ამითვე აარიდებს საქართველოს ახალ-ახალ ხარჯებს, ახალ ახალ მსხვერპლებს. და ეს ორი მეზობელი ქვეყანა, განთავისუფლებული წარსული საბედისწერო შეცდომისაგან, ერთი მეორეს დაუახლოვდება და შეჰქმნიან იმ სიმტკიცეს, რომელიც ორივეს ააშორებს იმ ჩრდილოეთის საფრთხეს, რომელიც იქნება დღეს თვლემდეს ან იცდიდეს, მაგრამ, რომელიც ხვალ საშიშარ რეალ საფრთხეთ მოგვევლინება და ორივეს არსებობას საბედისწეროდ დაემუქრება.

ქიაზიმ ბეის დიდი მისია აქვს შესასრულებელი და ჩვენ ვისურვებთ, რომ ეს მისია მას კეთილად შეესრულებოს ორივე ქვეყნის ბედნიერობისა და წარმატებისათვის“.

მცირე შენიშვნები.

ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნდა ბერძნული მისიის (გამოქცეულებისთვის მზრუნველის) პროტესტები საქართველოს მთავრობის წარმომადგენელის მიმართ.

მისია ედავება საქართველოს მთავრობას, რომ მას ნებას არ აძლევენ გაიყვანოს ბათომიდან 900 სული რქიანი საქონელი.

ამ პროტესტით ხსენებულმა მისიამ თავის თავი საშკარაოზე გამოიყვანა და ნიღაბი ჩამოიხსნა. ჩვენ დიდი ხანია ვიცით, რომ ბერძნული მისია ბედკრულ გამოქცეულებზე კი არ ზრუნავს, არამედ თავის პირად საქმეებზე. ახლაც ეს გამოაშკარავდა — ხალხზე უფრო საქონელზე ზრუნავენ, იმიტომ რომ ამით მოგებას ელიან. ეს ერთი ბერძენი არ არის რომ ბერძნულ მისიის მზრუნველობა მოქმედებას წყევლა-კრულვით არ ჰგმობდეს. სასურველი იყო, რომ ამ ხალხის ბოროტ-მოქმედება ერთხელ და საბოლოოდ გამომზეურებულიყო ბერძნულ ყველა ეროვნულ საბჭოების შემწეობით

ეს საბჭოები ყოველთვის გმობდა მისიის მოქმედებას და ამჟამადაც მე საქართველოს მთავრობას განსაკუთრებულ რწმუნებულის მოქმედებაში, რომელიც მომაკვდავ ხალხს უფრო მეტ ყურადღებასაა ქცევს, ვიდრე საქონელს, სამართლიანობას და ჰუმანიურ გრძნობას მეტს ვერას ვხედავ.

ამისათვის დიდი მიდლობის ღირსია საქართველოს მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებული, ხოლო ჩვენ კი უნდა მეფე ადოთ, რომ ბოროტმომქმედ მისიას ნიღაბი მთლად ჩამოგვლიჯოთ. ამ კითხვას მე დაწვრილებით შეეხები.

საქართველოს ელინთა ეროვნულ საბჭოს რწმუნებული ქ. პოპპანდოკულო.

ქრონიკა.

ჯარის და გვარდიის აღლუმი, ამ დღეებში ქ. ბათომში გაიმართება ჯარის და გვარდიის შეერთებული აღლუმი.

ფრონტის დამხმარე კომიტეტის წარმომადგენელი ბათომში არის ბ-ნი ს. ხონელი,

გუშინ ბათომში ჩამოვიდა ჯარების სარდალი გენ. მდივანი.

საავტომობილო მოძრაობა შრომის სამინისტრომ მიმართა შინაგან საქ. სამინისტროს თხოვნით, რათა ნება დართოს ავტომობილის მოძრაობისა ბათომსა და კვარცხნის სპილენძის ქარხანას შორის მუშებისათვის სურსათ სანოვაგის მისაწოდებლად.

ბათომში ჩამოვიდა ბათომის ფრანგულ სამხედრო მისიის მეთაური პოლკოვნიკი ბერტენი.

ჯანმრთელობის დეპარტამენტმა შეადგინა № 10 ბიულეტენი ჯირკვლებიანი ჭირისა და ხოლერის მოძრაობის შესახებ ბათომში, ფოთსა და თბილისში ნოემბრის 16-23-მდე ბიულეტენის მიხედვით ნოემბრის 16-ს ბათომში ჯირკვლებიანი ჭირით ავად ყოფილა 4 კაცი. ერთი კვირის განმავლობაში ავად გამხდარა კიდევ 1, სულ ნოემბრის 23 ავად ყოფილა 5 კაცი, ფოთში ჭირით ამ ხანს განმავლობაში არავინ გამხდარა, თბილისში არ ყოფილა შემთხვევა ხოლერისა ავად გახდომისა.

შრომის სამინისტრომ სოხუმის ქუთაისს და ბათომის მოვრიგებელ კომერციათა თავმჯდომარეებს წინადადება მისცა სასწრაფოდ წარმოადგინონ კომერის მოქმედების დაწვრილებითი ანგარიშები

უკანასკნელი ნაბეჭდი.

— ტრაპიზონიდან ჩამოსულები გადმოგვცემენ, რომ ქემალისტები თავის ძალებს თავს უყრიან ხოპში და ათინეში.

სტამბოლის ცნობები.

(საკ. კორეს პ.)

— აქ გავრცელებულია ხმა რომ სმუსტაფა ქემალ ფაშა უკვე შეესაქართველოსო.

— ანგორის უკანასკნელი პასუხი სტამბოლის მთავრობისადმი მეტად დაგვიანდა, ამ გარემოებას ოსმალურ დიპლომატიას აწერენ, ამბობენ ასეთ გაჭიანურებების და ვამოურკვეველ მდგომარეობით ოსმალებს საქმის მოგება სურთო.

უცხოეთი.

(უკანასკნელად მიღებულ გაზეთებიდან).

საგერძნეთი.

ინგლისმა და საფრანგეთმა კატეგორიულად უარი ეთქვა ცხადეს ექს მეფე კონსტანტინეს ტახტზე დაბრუნების შესახებ.

(„ბოსფორი“).

ვენიზელოსის დამარცხების მიზეზები.

ბოლგარეთის პრესა ვენიზელოსის დამარცხებას აწერს ვენიზელოსის „დრაკონულ“ ზომებს, რომელიც მან მიიღო ექს მეფის კონსტანტინეს მომხრეთა წინააღმდეგ.

— საბერძნეთის უმაღლესი კომისარი სტამბოლში კონანიკოპულოსი გადადგა.

ინგლისი და რუსეთი.

ლოიდ ჯორჯმა ოემთა პალატაში განაცხადა, რომ ინგლისი აღადგენს კომერციულ ურთიერთობას საბჭოთა რუსეთთან თანახმად ივლისში დადებულ ხელშეკრულებისა. პირობები შემდეგია: რუსეთმა აბსოლიუტურად ხელი უნდა აიღოს დიდ ბრიტანეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებაზე და პროპაგანდაზე. აგრეთვე რუსეთმა უნდა უზრუნველ ჰყოს ყველა ინგლისელი სოვდაგარი, რომელიც რუსეთში რაიმეს შეიტანს.

(„ბოსფორი“).

სტამბოლის ინფორმაცია.

გაზ. „ბოსფორი“ს 24 ნოემბრის ნომერში მოთავსებულია საგანგებო კორესპონდენტის დეპეშა ქ. ბათომიდან რომელშიც ნათქვამია. „ქემალის მთავრობამ მოსთხოვა საქართველოს მთავრობას ოსმალთა კონტროლი რესპუბლიკის ყველა რკინის გზებზე.

საქართველოს მთავრობამ ეს მოთხოვნილება უარჰყო.

ქ. ბათომში საქართველოს მთავრობის მიერ დატუსაღებულია 50 მდე საეჭვო ქემალისტი და რამდენიმე აჰარელი ბეგი. ახლობელი დღეები გვიმზადებენ ნაირ ნაირ სიურპრიზებს.

ფრანგული პრესა.

გაზ. „ბოსფორი“ საბერძნეთის ცვლილების შესახებ სწერს: საბერძნეთს ახალ მთავრობის დეკლარაციაში ნათქვამია, რომ საბერძნეთი საგარეო პოლიტიკაში განაგრძნობს ვენიზელოსის პოლიტიკასო. გაზეთს ანცვიფრებს ეს დეკლარაცია და ამბობს „l'etaite pas la paue, assupement:

Dechanjer de gouverhe ment“ მხოლოდ ამისათვის რა საჭირო იყო მთავრობის გამოცვლა.

გაზეთი დაასკვნის, რომ საბერძნეთის პოლიტიკა აბსოლიუტურად

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიცვლება და ყოველ შემთხვევაში არა მოკავშირეთა სასარგებლოთო.

ჩაიკოვსკის მოწოდება.

პარიზში რუსულ დელეგაციის მეთაურმა ჩაიკოვსკიმ გამოსცა მოწოდება ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელების შესახებ, ჩაიკოვსკი აღნიშნავს, რომ ბოლშევიკებთან ბრძოლა ჯერ არ გათავებულა, არამედ ახლა იწყება.

(,,ბოსფორი.'')

სხვა და სხვა ცნობები.

— მოკლე ხანში ჩეხიაში მოელიან ინდიის ცნობილ მწერალს რობინდრანატ ტაგორს.

— ინგლისის ფსიხიატრებმა დაამტკიცეს, რომ ბრმა ბავშვებმა სიზმარი არ იციან და მათ არასდროს არ ესიზმრებათ სასურსათო საგნები.

— ინგლისის არქეოლოგებმა ბერკშირში (ინგლისი) მიწის ქვეშ იპოვეს სხვა და სხვა საომარი იარაღები, სხვა შორის იპოვეს ქვის ისარი, რომელიც მათის ანგარიშით 50,000 წლის წინათ არის გაკეთებული, ისარზე დახატულია მხეცები და ვარდები.

— მეცნიერი ბარტო, ჩინეთის მკვლევარი, თავის ახალ წიგნში სწერს, რომ ჩინელი ქალები უფრო გვიან ბერდებიან ვიდრე ევროპაში.

— 1919 წლის განმავლობაში მთელ მსოფლიოში მოუხმარებიათ 15 $^1/_2$ მილიონი ტონი შაქარი.

უკრაინა.

ანტანტა და უკრაინა.

გაზ. ვრემია იუწყება, რომ პეტლიურას წარმომადგენელი ბერლინში ბ-ნი სმალ-სტოცკი ინგლისის ელჩმა საელჩოში გამართულ ზეიმზე მოიწვია ოფიციალურადო. ამ მოწვევას ბერლინის დიპლომატიურ სფეროებში დიდ მნიშვნელობას აძლევენ.

მობილიზაცია უკრაინაში.

კამენეც პოდოლსკიდან იუწყებიან, რომ პეტლიურამ ბოლშევიკებიდან განთავისუფლებულ ოლქებში მობილიზაცია გამოაცხადაო. უკრაინის არმიაში ამ ჟამად 80.000 ჯარისკაცი ითვლება. ამერიკის სანიტარული მისიის წარმომადგენელმა პეტლიურას განუცხადა, რომ ამერიკა უზრუნველყოფს მცოვრებთ და პეტლიურას ჯარს ყველა საჭირო საგნებით.

გერმანია.

ძველი გზით ახალ ქურქში.

ცნობილმა გერმანიის კაპიტალისტმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ გუგო სტინესმა, გერმანიის მსხვილი ბურჟუაზიის ერთ-ერთმა ბელადმა სახელმწიფო საეკონომიო საბჭოს სხდომაზე ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც ის იცავდა წარმოების საზოგადოებრივ ხასიათს. მან განაცხადა, რომ ნახშირის წარმოებაში კერძო მწარმოებლები ან საქციონერო საზოგადოებანი უკვე ვერარ შეასრულებენ თავის დანიშნულებას. ,,ჩვენ აღვიარებთ ჩვენ შეცდომას და გვსურს გამოვასწოროთ ეს შეცდომა, რადგან ამას მოითხოვს სახელმწიფოს ინტერესებიო'', განაცხადა გუგო სტინესმა.

სტინესი ასე აყალიბებს თავის აზრს საზოგადოებრივი წარმოების შესახებ: უფრო მჭიდრო კავშირის შექმნა მწარმოებლისა და მომხმარებელს შორის. ამ კავშირის ქვეშ სტინესი გულისხმობს ურთიერთობას მომხმარებელთა ფართე მასისათვის მომუშავე წარმოების დარგების და ნედლი მასალის მიმწოდებელ დაწესებულებებს შორის ე. ი. სტინესის აზრით კერმანიის მთელი მრეწველობა უნდა გაერთიანდეს ერთ ვეებ
ოელა ტრესტში. ამ ტრესტს დახმარებას უნდა უწევდეს საბანკო კაპიტალი.

თავის თავად წარმოების ასეთი განსაზოგადოებრივება არაფერს არ ცვლის, რადგან მისი საფუძველი ძველი რჩება—კერძო საკუთრება სამუშაო იარაღებზე.

მეორე მხრით სტინესს საჭიროთ მიაჩნია ნიჭიერ მუშების კადრის შექმნა და მათთვის პროფესიული განათლების შიცემა.

სტინესი ამით ალბათ ფიქრობს მუშათა სოლიდარობის დარღვევას.

ამასთან ერთად სტინესი აშკარად აღიარებს, რომ დღლილ, უილაჯო ბურჟუაზიის ადგილზე ახალი ხალხი გამოვნახოთო.

,,ბურჟუაზია სულიერათ გაიძარცვა'', ამისათვის საჭიროა მისი რიგები მუშათა წრ დან გამოსულ ინტელიგენტებით განვაახლოთო.

ბაქო.

როგორც პირველ წერილში ვწერდი, იმ ძარცვა გლეჯის შემდეგ რომელსაც მუსავატლების გახრწნილი ჯარი ჩადიოდა, ყოველი მოქალაქე თითქმის განურჩევლად კლასისა სიამოვნებით მოელოდა, გადატრიალებას. ვისაც არ უნდა მოეხდინა ეს და აკი მოულოდნელად 28 აპრილს დილა ადრიან, ჯერ კიდევ მცხოვრებთა უმრავლესობა ტკბილ ძილს მისცემოდა, ბაქოში უკვე საბჭოთა მმართველობა დამყარდა ნ. ნარიმანოვის მეთაურობითა *) ძველი მთავრობის წევრები, რომელთაც ვერ მოესწროთ დამალვა, დაეპატიმრებიათ. და ერთ და იმავე დროს მოსკოვს თხოვდნენ კოცხალი ძალით დახმარებას. ეს უკანა'კნელი ასე ვთქვათ ხალხის თვალის ასახვევათ იყო თორემ საბჭოთა ჯარს უკვე საზღვარი გადმოლახული ქონდა და ბაქოსკენ მოეშურებოდა. იმ ღამეს კი ე. ი. 27-ში ნაშუალამევს ბაქოს სადგურზე შემოსული იყო ბოლშევიკების შესანიშნავი ჯავშნოსანი ,,წითელი დაღესტანი'' მიუხედავათ იმისა, რომ ჯერ კიდევ არც ერთი წითელ არმიელი არ იყო შემოსული. ქალაქში მთელი საზოგადო დაწესებულებები ადგილობრივ ბოლშევიკების ხელში იყო. ქალაქში სრული სიმშვიდე და წესიერება იყო დაცული, არავითარ ცარცვა გლეჯას ადგილი არ ქონია, არა ჩვეულებრივი თუ იყო მხოლოდ ერთი რამ—ყველა მეპურის წინ გაიჭიმა კუდები, ყველა მათგანი—ყიდულობდა თითქმის ფუთობით და ბევრი კიდევ მეტს. ყოველივე ეს ხდებოდა იმიტომ, რომ ხალხში რწმუნება იყო: სადაც ბალშევიკებია, იქ პური არ იქნებაო. თუ რა შედეგი მოყვა ამას და საერთოთ სასურსათო მდგომარეობაზე ქვევით გვექნება უფრო ვრცლათ ლაპარაკი, პირველი დღე შეიძლება ითქვას მშვიდობიანათ ჩატარდა, მხოლოდ ერთი რამ იპყრობდა მცხოვრებთა ყურადღებას—ეს იყო მასიური დაპატიმრებას ძველი მოხელეების და ,,ბურჟუების'', მეორე შესამე დღეს შემოვიდა ჯარი, დაგლეჯილი დაფლეთილი, საცოდავის გამომეტყველებით, უდისციპლინო და მოუწყობელი. ყოველი მნახველი უნებლიეთ იტყოდა, რომ ისენი შიმშილისა და სიშიშვლის ქვეყნიდან იყვნენ მოსულნი, მოედვა ეს მშიერი ხალხი ქალაქს, ყიდულობდნენ ყოველივეს რასაც კი პირველად დაინახავდნენ, და ეს ხდებოდა იმიტომ, რომ მაშინ ბაქოში რუსეთთან შედარებით საოცარი იაფობა იყო. იმათ განცვიფრებას საზღვარი არ ქონდა, როცა ყოველივე საქონლით სავსე მაღაზიები დაინახეს. იშვიათად ნახავდით ისეთ წითელ არმიელს, როელსაც დუჟინობით კოჭა ძაფი არ ეყიდოს და ისე სხვა ყოველივე, რადგან მათის თქმით საბჭოთა ,,სოციალიზმის'' სამყაროში ძაფი ღირდა 800-1000 მანეთამდე, ჩითი კი 2500 მანეთი არშინი და ასე სხვა, ბაქოში კი იმ დროს კოჭა ძაფი ღირდა 22 მანეთი, ჩითი კი 50 მანეთი. იმათი ფული, ე. ი. საბჭოთა რუსეთისა, პირველი დღიდანვე აზერბაიჯანის ბონების თანაბრად იყო გამოცხადებული. სურსათს ხომ მუსრი გაავლეს.

რომ მკითხველმა საღი წარმოდგენა იქონიოს მე მოვიყვან ერთ შემთხვევას, რომლის მოწამეც პირადათ გახლდით: ბაზარში წითელ არმიელი ეკითხება მედუქნეს:

,,როგორ ყიდით კვერცხს?''

90 მანეთი, უპასუხა.

,,მომეცი ათი ცალი''.

გამოართვა და გადასცა ათასი მანეთიანი, მედუქნემ 910 მანეთი ხურდა დაუბრუნა, წითელ-არმიელი შედგა: ,,განა 10 კვერცხში რა გეკუთნით?

— ცხრა თუმანი, უპასუხეს.

— ათი კვერცხი 90 მანეთი?

-- დიახ!

,,მაშ მომეცით კიდევ ათი. ქვეყანა ეს ყოფილა. ჩვენში 10 ცალი კვერცხი 2500 მანეთი ღირს!..''

ასეთი განსხვავების შემდეგ რაღა გასაკვირი იყო თუ ისენი არაფერს უშვებდნენ შეუძენათ, ამას დაუმატეთ ურიცხვი ,,წითელ არმიელის ცოლები'', და აუარება რუსეთიდან ჩამოსული ,,დელეგატები'', რომლებსაც რის გატანაც კი შეეძლოთ გაქონდათ. ამის შემდეგ თქვენ ადვილათ წარმოიდგენთ თუ რა კვალს დაჩენდნენ ბაქოს. მაგრამ ყოველივე ეს უმნიშვნელო წვრილმანია იმასთან შედარებით, რაც ,,წითელ'' აზერბეიჯანს თავს დაატყდა შემდეგ ,,რეკვიზიციების'' თუ სხვა კომუნისტური სიკეთის სახით.

ამაზე შემდეგ მექნება საუბარი.

რ. კაკაბაძე

*) ნარიმანოვი ამ დროს მოსკოვში იყო.

საბჭოთა რუსეთი.

ბოლშევიკების სავაჭრო საქმეები.

ბოლშევიკებმა მიუხედავათ დიდი სურვილისა ვერ მოახერხეს ნორმალური სავაჭრო ურთიერთობის დამყარება დასავლეთ ევროპის ხალხებთან და შეუდგენ შემოსვლითი სავაჭრო ოპერაციებს.

თუ პოლიტიკური მოსაზრებები ხელს უშლიდენ ევროპის სახელმწიფოებს სავაჭრო ურთიერთობა დაემყარებინათ, საბჭოთა რუსეთთან კერძო კაპიტალისტები არა თუ მზად არიან რუსეთთან ივაჭრონ, არამედ იძულებულიც ხდებიან ამ გზას დაადგენ. ექსპორტის კრიზისი, რომელიც მეტად დიდია იმ ქვეყნებში, სადაც ვალიუტა ცოტათი თუ ბევრათ ურყევ მდგომაოეობაშია, აიძულებს ამ სახელმწიფოებს გაასალონ თავისი საქონელი რომელიმე ბაზარზე. ამ პოლიტიკით ხელმძღვანელობდა ინგლისი საბჭოთა მთავრობის მიმართ. ამითვე არის გამოწვეული ინგლისის ,,ნიერ რეპრესიებზე'' უარის თქმა იმ შემთხვევაშიც, თუ გერმანიამ ვერსალის ხელშეკრულებით დაკისრებული მოვალეობა არ შეასრულა, იგივე ფაქტორები მოქმედებენ შვეიცარიაში, შვეიცარიაში და შეერთებულ შტატებში.

ამის გამო გასაკვირი არაფერი არის, რომ დასავლეთ ევროპის კაპიტალისტები ვაჭრობას აწარმოებენ რუსეთთან.

ასეთ ვაჭრობას აწარმოებენ მაგალითად შვეიცის ფირმები. ეს ვაჭრობა შვეიცისათვის ორნაირ სარგებლობას წარმოადგენს შვეიცის მრეწველობას საშვალება ეძლევა გაასალოს ზოგიერთი ისეთი საქონელი, რომელიც შვეიცის კრონასა და სხვა სახელმწიფოების ვალიუტის შორის არსებულ სხვა და სხვაობის გამო, არ შეუძლია გაიტანოს არც გერმანიამ და არც სხვა რომელიმე სახელმწიფომ. ამას გარდა შვეიცის ფირმებმა, პირობის თანახმად უნდა მიიღონ საქონელის ფასათ ან შვეიცის კრონები, ან იმავე ღირებულების რუსეთის ოქრო.

რუსეთისათვის ეს სავაჭრო ოპერაციები შვეიცასთან ნაკლებათ სასარგებლოა. როგორც მოსალოდნელი იყო საბჭოთა მთავრობა შვეიცის საქონელში აძლევს არა ნედლ მასალას, რომელიც რუსეთში არც ისე მრავლათ მოიპოვება გასატანად დამზადებული, როგორც კომუნისტი ეკონომისტები სწერენ, არამედ ოქროთი ან შვეიცის ვალიუტით.

რაც შეეხება ვალიუტას, — ეს ბოლშევიკებმა ბაზარზე უნდა შეიძინონ ან ოქროს საფასურით ან სხვა სარგებლიან ქაღალდების და თამასუქების გაცემით. სარგებლიან ქაღალდების გაყიდვა ნიშნავს შემოსავალის ნაწილის გაყიდვას. უწინ რუსეთის კაპიტალისტების შეძენილი ქონდათ უცხოეთის სარგებლიანი ქაღალდები და იღებდენ ამ ქაღალდებზე შემოსავალს. ამის გამო რუსეთი არა თუ იხდიდა სხვა ქვეყნებში, არამედ თვით იღებდა სხვა ქვეყნებიდან. რუსეთის სარგებლიანი ქაღალდების უცხოელების ხელში გადასვლა გამოიწვევს მომავალში რუსეთის სავაჭრო ბალანსის გაუარესებას.

ვალდებულება, რომელიც ბოლშევიკებმა თავის თავზე მიიღეს—ოქროთი გადახდა საქონლის ფასის, გამოიწვევს რუსეთის დარჩენილ ოქროს დატაცებას, გაქრობას.

საბჭოთა მთავრობა დროებითი სარგებლობას ყიდულობს რუსეთის მომაკალი საბოლოო გაღარიბების ხარჯზე.

,,მოპარული წმინდანები''.

იაროსლავის ახლო სოფ. ოსკრესენსკოვში გახსნეს წმ. სილიბისტრო ბბნორელის საფლავი, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელიც ცარიელი აღმოჩნდა. საფლავში ნახეს ნაგლეჯები და ნიკოლოზის **მანეთიანები**.

გლეხები მეტად აღელვებული იყვნენ და ამბობდენ „ბოლშევიკებმა წმინდანი მოიპარესო“.

სხვა და სხვა ამ ეგი.

საბერძნეთი.

ლიონი, 27 ნოემბ. ათინაზ მთავრობამ მანიფესტით მიმართა საბერძნეთის ხალხს, რომელშიც მოუწოდებს მათ პლებიცისტის საშუალებით გამოსთქვან თავიანთი დამოკიდებულება მეფე კონსტანტინეს მიმართ. ვაზ. „ტანი“ სწერს, რომ საბერძნეთის ახალი მთავრობა განაგრძნობს იმ პოლიტიკას, როგორსაც ადგა 1917 წელს მეფე კონსტანტინეს მიერ შედგენილი უკანასკნელ მინისტრთა კაბინეტი. ამიტომ ეს ახალი მთავრობა არ სთვლის თავის თავს მოვალეთ შეასრულოს ვენიზელოსის კაბინეტის ვალდებულებები.

საბერძნეთის მეფის მოადგილე.

ლიონი, 28 ნოემბ. საბერძნეთის მეფის მოადგილე ბუქარესტიდან შვეიცარიაში გაემგზავრა.

სტამბოლელი ბერძნები.

ლიონი, 28 ნოემბერი. იტყობინებიან, რომ სტამბოლელ ბერძნებმა ჯვარზე შეფიცეს თავის ერთგულობაში ვენიზელოსს.

ლონდონის თათბირი

ლონდონი. 28 ნოემბ. საგარეო საქმეთა მინისტრების პირველი თათბირი მოხდა ხუთშაბათს დღის 4 საათზე. თათბირს დაესწრენ: კამბონი, ბერტელო, ბონარ-ლოუ და კერზონი. თათბირი ძალიან მოსურნე იყო შეთანხმების მიღწევისა. „პტი პარიზიენა“ მოყავს ლეიგის გაიცხადება ამ თათბირის შესახებ. თურმე ლეიგი ჩასულა ლონდონში არა მარტო საბერძნეთის მდგომარეობის გამოსარკვევად, არამედ სხვა დიდ საჭირო კითხვების გასაჩრჩევადაც, რომელშიაც დაინტერესებულია იტალია მხ რე.

ლეიგი იტყობინება, ორივე პრემიერები, მოსურნე არიან შეუთანხმდენ იტალიის წარმომადგენელს გრაფ სფორცას, რომელიც უკვე მოვიდა რომიდან. საფრანგეთის და ინგლისის შეხედულებანი საბერძნეთის საკითხზე სხვა და სხვაა. „პტი პარიზიენი“ სწერს, რომ ლოიდ ჯორჯმა წამოაყენა მთელი რიგი დებულებებისა, რომლის საშუალებითაც ის უცდის რა სასარგებლო მომენტს, ცდილობს განახორციელოს თავისი ზრახვანი.

რუსეთ-პოლონეთის ხელშეკრულების ხელის მოწერა.

ლიონი, 28 ნოემბერი. საფრანგეთის ჰრესა იტყობინება, რომ თავად საპეგამ გაუგზავნა რადიო ჩიჩერინს, რათა მან დანიშნოს დღე რუსეთ-პოლონეთის საზავო ხელშეკრულების ხელის მოსაწერად.

ორგეშის ბრძანება.

ნაიენი, 27 ნოემბ. მიუნხენში გამოქვეყნდა გერმანელ მონარქისტების ორგანიზაციის ორგეშის საიდუმლო ბრძანება, სადაც ნათქვამია, რომ კომუნისტების ჯანყებისას დახვრიტონ სოციალისტებ და ჩამოახრჩონ ებრაელები. არავითარ შებრალებას ებრაელებისადმი ადგილი არ ექნებაო ნათქვამია ბრძანებაში.

ებრაელების მდგომარეობა რუმინიაში.

ნაიენი, 27 ნოემბ. რუმინიის მთავრობა ებრაელებისადმი არავითარ ნაციონალურ უფლებებსარ სცნობს. ჩერნოვიცის უნივერსიტეტში შესწდა ებრაელ ენაზე ლექციებია კითხვა.

ჯარისკაცთა დამხმარე კომიტეტში.

30 ნოემბერს საღამოს მოხდა კრება ჯარისკაცთა დამხმარე ბათომის კომიტეტისა ბ. ო. მნდოიანცის თავმჯდომარეობით. დაესწრო 14 წევრი და მთავარ კომიტეტის რწმუნებული თბილისიდან სერგი მაქსიმეს ძე ჟორჟოლიანი, რომელმაც გააცნო სხდომას მიხნები ფრონტის კომიტეტის საზოგადოთ და საშვალებანი, რომელსაც ის მიმართავს ხოლმე ამ მიზნების განსახორციელებლად.

თბილისშიო,არსებობს ის ორი ორგანიზაცია: თავდაცვის ფონდის კომიტეტი და ფრონტის დამხმარე კომიტეტი. პირველს თავმჯდომარეობს აკ. ივ. ჩხენკელი, მეორეს ის (სერ. ჟორჟოლიანი).

პირველი აგროვებს თანხას თავდაცვის გასაძლიერებლად, მეორე აგროვებს ნივთებს, თეთრეულს, სხვა და სხვა საჩუქრებს და ფულებს ჯარისკაცთათვის, რომ მისცეს ამით ის, რაც არ ეძლევათ მთავრობასაგან. ამით ჩვენ ვქმნით კავშირს ფრონტსა და ზურგს შორის კომიტეტი წინასწარ ამზადებს საზოგადოების აზრს შემოწირულებისათვის განცხადებით, პლაკატებით და სხვა. დანიშნულ დღეს ეწევა მუშაობას ნივთებისა თუ ფულების შესაგროვებლად.

ბათომის კომიტეტიც საჭიროა ამ გზას დაადგეს და კავშირი დაიჭიროს თბილისის მთავარ კომიტეტთან, რომ ვიცოდეთ საით რა საჩუქრები იგზავნება და სხვაო

კრებამ სიამოვნებით მოისმინა სერ. ჟორჟოლიანის მოხსენება და სურვილი გამოსთქვა იმუშაონ ნაჩვენები გზით.

შემდეგ არჩეულ იქნენ სექციათა თავმჯდომარეები: ნივთების შემგროვებელთა სექციაში: ნ. ა. საბაევი, ფულებისა: ემ. ად. მატიევიჩი და წაომოდგენათა და ლექციებისა: ბ. რელიგიონი.

ესენი შეიკრიბებიან 1 დეკემბერს 1 საათზე მუშაობის გეგმის შესადგენად.

ნივთებისა და ფულების შეგროვება გადაწყდა მოხდეს 10—20 დეკემბრამდე.

კომიტეტში დამატებით მოიწვევენ სახალხო სახლის და სახალხო უნივერსიტეტის წარმომადგენელთ.

სე—ლი.

მუშათა შორის.

ბათომის მუშათა მაგიდამ შემდეგის წინადადებით, მიმართა ბათომის პროფ. კავშირთა ცენტრალურ საბჭოს:

ბათუმის მუშათა მაგიდა გამოდის რა იმ მოსაზრებიდგან, რომ მის მოვალეობას შეადგენს მუშა-მოსამსახურეთათვის სურსათ-სანოვაგის მიწოდება, რისთვისაც უცილებლათ საჭიროა მჭიდრო კავშირის ქონება ერთი მხრით მაგიდასი და მეორე მხრით მუშათა ორგანოებს შორის, მაგიდას აუცილებელ საჭიროთ მიაჩნია მუშათა მაგიდასთან დაარსდეს კომისია მუშათა ორგანოების წარმომადგენლებისაგან.

კომისიის დანიშნულება იქნება შემდეგი:

გამორკვევა იმის, თუ რა სანოვაგე უფრო ესაჭიროება მუშა-მოსამსახურეებს, მათი [illegible] ყოფა და რაციონალურათ განაწილება.

ამისათვის მაგიდა სთხოვს საბჭოს გამოყოს მუშათა ორგანოებიდგან ორი პირი, რომლებიც, ვინაიდგან საშუშაო ბევრი ექნებათ და სხვა მოვალეობიდგან განთავისუფლებულ უნდა იქნა მაგიდიდან მაილებენ ჯამაგირს. ცნობისათვის გატყობინებთ რომ თითო მათგანს ჯამაგირი დაენიშნება თვეში 7.200 მან. და სურსათ-სანოვაგეს მიიღებენ იმ ფასებში, რა ფასებშიაც სახელმწიფო მოსამსახურეებს ეძლევათ.

კანდიდატების წამოყენების დრიას გთხოვთ იქონიოთ მხედველობაში მათი კომერციული გამოცდილება.

30 ნოემბერს შრომის ბირჟაში გამოცხადდა 32 უმუშევარი (18 მამაკაცი და 14 დედაკაცი), კელ: ვ ჩაეწერა 9 უმუშევარი (8 მამაკაცი და 1 ქალი) 1 საშაქარლამოში მომუშავე, 1 მღებავი, 1 შავი მუშა, 2 მზარეული, 1, მზარეული ქალი, 1 მრეცხავი, 2 კანცელარიის მოხელე.

სარედაქციო კოლეგია.

ნ. ა. გამყრელიძის ცირკი.

ხუთშაბათს 2 დეკემბერს

დიდი წარმოდგენა

მონაწილეობას იღებს საუკეთესო ძალები.

ჯიდაოგენ ორი წყვილი

1ზაგორუიკო—მუშის წინააღმდეგ.

2 სანდროვი—მეორომეცის წიააღმდეგ,

ანონსი ამ დღეებში გაიმართება წითელი ნიღაბის **ბენეფისი**

კვირას 5 დეკემბერს დღისით **ბავშვების დილა.**

განცხადება

გვაქს პატივი ვაცნობოთ ბათომის პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვე

ძმ. აბულაძეებმა გავხსენით

სასადილო

ნორიაში, ასათიანის და შეველევის მოსახვევში 19—20 სადაც მზადდება

იმერული საჭმელეგი.

და აგრეთვე იშოვება ღვინო და მაგარი სასმელები. ყველაფერი ხელ-მი საწვდენათ და ზომიერ ფასებში.

საჭმელებს ამზადებს იგივე ცნობილი მზარეული კოსტა აბულაძე.

პატივისცემით **ანტონ აბულაძე,**

საგაჭრო სახლი

ძმ. სესიაშვილეგი და ამხ.

შერემეტევის ქ. № 74.

კავკასიური

ნატურალური კონიაკი

ვაჭრობა ბითუმათ, ბოჭკებით და ბოთლობით.

კურის ღვინო

„რეკორდი“

საუკეთესოდ გაწმენდილი „სავალის“ აპარატებით

ყურძნის არაყი.

ხილის არაყი („ჭაჭა“)

ახლად დამზადებული ახალი ღვინიდან. სიყალბის და მიბაძვის თავიდან ასაცილებლათ ფირმა სთხოვს ყველა მომხმარებელთ, მოითხოვონ ბოთლები, რომლებზეც ქარხნის ბეჭედი პრობკაზე მიაღლია.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ხ. ჰ. ძმაევსკისა. მიხაილოვის ქ. № 21, ქ. ბათუმი.